საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული საგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/3866
21/06/2021

3866-09-2-202106211235

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

აღმასრულებელ დირექტორს

ქალბატონ ეკა ურუშაძეს

ასლი: ქალბატონ ლია თოდუას

#3-732 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც არეგულირებს ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების მონიტორინგის ორგანიზებას და განხორციელებას, მოთხოვნების გათვალისწინებით, ვეტერინარიის დეპარტამენტი 2017 წლიდან ახორციელებს ცოცხალი ცხოველების ბიოლოგიურ სითხეებსა და ქსოვილებში აკრძალული ნივთიერებების კვლევას. რაც შეეხება ექსკრემენტებსა და ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალს, აღნიშნული კვლევა არ ტარდება, რადგან ლაბორატორიას არ აქვს აკრედიტებული მეთოდები.

2021 წელს „ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის“ პროგრამის ფარგლებში, 2021 წლის 1 იანვარს ამოქმედებული საქართველოს მთავრობის დადგენილება #10-ის (მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესი“) მოთხოვნების და ლაბორატორიული შესაძლებლობების გათვალისწინებით დაიგეგმა 315 ცხოველიდან აღებული ნიმუშისა და 50 ცხოველის საკვებიდან საკონტროლო ნიმუშის კვლევა. მიმდინარეობს გეგმით გათვალისწინებული ნიმუშების აღება და ლაბორატორიაში წარდგენა.

ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა გაწერილია სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ყოველწლიურ პროგრამებში.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

2021 წელს მიმდინარეობს ნიმუშების აღება.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

#3-732

19 მაისი 2021

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

თემა: საქართველოს მთავრობის 2016 წლის №22 დადგენილების შესრულება

საქართველოს მთავრობის 2016 წლის №22 დადგენილებით დამტკიცებული "ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის თანახმად სააგენტოს ევალება ყოველწლიურად შეადგინოს და განახორციელოს ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ნივთიერებების და ნარჩენების მონიტორინგის გეგმა ცოცხალ ცხოველში, ცხოველის ექსკრემენტში, ცხოველის ბიოლოგიურ სითხესა და ქსოვილებში, ცხოველურ პროდუქტში, ცხოველის საკვებში, ცხოველისთვის განკუთვნილ სასმელ წყალში.

გთხოვთ მოგვაწოდოთ 2016-2021 წლებში სააგენტოს მიერ მომზადებული ასეთი გეგმები და მათი განხორციელების ანგარიშები.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პასუხი გამოქვეყნდება asocireba.ge ვებ-გვერდზე და გამოყენებული იქნება საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების მაჩვენებლების გაანგარიშებისთის.

პატივისცემით

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საკონტაქტო პირი: ლია თოდუა, მობ: 599577959, ელ-ფოსტა: liatodua@csrdg.ge